ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 189

ქალაქი ქუთაისი 26 აპრილი 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თ ა ო ბ ა ზ ე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 18 აპრილის №44-4423108337 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №102 განკარგულებაში, კერძოდ:

1. შეიცვალოს განკარგულების მეორე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორულ კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წელი, №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-სათვის შეადგენს 50,0 (ორმოცდაათი) ლარს, სულ წლიური საიჯარო ქირა - 600 (ექვსასი) ლარი.“.

2. შეიცვალოს განკარგულების დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 30
27. 04. 2023 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ასლი

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის
№ 189 განკარგულების დანართი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი

№	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი	საკადასტრო კოდი
1.	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, №2-ის აღმოსავლეთით	ტროტუარი	6.0 კვ.მ.	03.04.32.465
2.	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №55-ის მიმდებარედ	ტროტუარი	6.0. კვ.მ.	03.04.26.540
			12.0 კვ.მ.	

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია